

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
მორიგი სხდომის  
ოქმი № 3

ქ. ახმეტა

5 თებერვალი, 2018 წელი

თავმჯდომარეობდა:

თამარ ყვინიშვილი-ახმეტის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ

საკრებულოს წევრები:

თ. წითელაური, რ. ბაღაკაშვილი, ბ. ჭიჭიკლიშვილი,  
თ. ბოდაველი, ა. მექვევრიშვილი, თ. ბორჩაშვილი,  
ა. ბულრიძე, ვ. დედაბრიშვილი, ა. შათირიშვილი,  
მ. ალხანაშვილი, ლ. გოგოთიძე, გ. ხუცურაული,  
გ. ხადიშვილი, რ. გახუაშვილი, ი. მრელაშვილი,  
ა. ხიზანაიძე, ლ. ითიურიძე, დ. იმერლიშვილი,  
ლ. უძილაური, შ. ტერტერაშვილი, ნ. ალავიძე,  
გ. მაისურაძე, დ. ავაზაშვილი, დ. ახალკაციშვილი,  
თ. მოზაიძე, ფ. შიომღვიმელი.

სხდომა გაიხსნა 10<sup>00</sup> საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარემ თამარ ყვინიშვილმა გახსნა სხდომა და დამსწრე პირებს გააცნო დღის წესრიგი.

## დღის წესრიგი:

1. ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

*/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/*

2. ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

*/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/*

3. ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

*/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/*

4. ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

*/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/*

5. ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

*/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/*

6. ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის მერის წარმომადგენელთა საქმიანობის კოორდინაციის სამსახური;

*/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/*

7. ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

*/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/*

8. ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

*/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/*

9. ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

*/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/*

10. ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

*/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/*

11. „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

*/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/*

**სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი, რომელსაც მხარი სხდომაზე დამსწრე ყველა წევრმა დაუჭირა.**

**მოისმინეს:** ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

*/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/*

**მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო საკითხი და განმარტა,**

ნორმატიული აქტის პროექტის მიღების საჭიროება გამოიწვია 2017 წლის 12 ნოემბერს საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ ამოქმედებულმა ცვლილებებმა, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიაში დაწყებულმა რეორგანიზაციის პროცესმა.

ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზანს წარმოადგენს საკრებულოს დადგენილების საქართველოს ორგანულ კანონთან „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსთან“ და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობა.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ შევიდა ტერმინოლოგიური ცვლილება, კერძოდ, ტერმინი „გამგეობა“ შეიცვალა „მერიით“. სწორედ აღნიშნული ცვლილების საფუძველზე სამსახურის სახელწოდება ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური, ხოლო ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიაში დაწყებულმა რეორგანიზაციამ კი განაპირობა ამ კონკრეტული სამსახურის სტრუქტურული ცვლილება:

სამსახური შედგება პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - სამსახურის უფროსის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - განყოფილების, მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსის - განყოფილების უფროსისა და სხვა პროფესიული საჯარო მოხელეებისგან (შემდგომ- საჯარო მოხელე).

რეორგანიზაციის პროცესის შედეგად სამსახურის მეორად სტრუქტურულ ერთეულებად ჩამოყალიბდა:

ა) საქმისწარმოების და მოქალაქეთა მომსახურების განყოფილება,

ბ) საზოგადოებასთან ურთიერთობის და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

აზრი გამოთქვა შაქრო ტერტერაშვილმა: დადგენილების პრეამბულის მე-3 მუხლი არ მიმაჩნია სწორად, რადგან ეს ჩანაწერი უნდა გამოქვეყნდეს დადგენილებისთანავე. რაზეც მომხსენებელმა განუმარტა რომ ესეც სწორი ფორმაა და არ ეწინააღმდეგება კანონდარღვევას.

**სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.**

**22 - მომხრე**

**4 - წინააღმდეგი**

**1 - მონაწილეობა არ მიიღო**

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №3 ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;**

**მოისმინეს:** ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

*/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/*

**მომხსენებელმა წევრებს განუმარტა, რომ** ნორმატიული აქტის პროექტის მიღების საჭიროება გამოიწვია 2017 წლის 12 ნოემბერს საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ ამოქმედებულმა ცვლილებებმა, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნამ და ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიაში დაწყებულმა რეორგანიზაციის პროცესმა.

ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიაში დაწყებულმა რეორგანიზაციამ განაპირობა აღნიშნული სამსახურის ჩამოყალიბების აუცილებლობა.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში” შევიდა ტერმინოლოგიური ცვლილება, კერძოდ, ტერმინი „გამგეობა” შეიცვალა „მერიით”. სწორედ აღნიშნული ცვლილების საფუძველზე სამსახურის სახელწოდება ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: - „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახური”.

სამსახური შედგება პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - სამსახურის უფროსის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - განყოფილებების, მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსის - განყოფილების უფროსებისა და სხვა პროფესიული საჯარო მოხელეებისგან (შემდგომ- საჯარო მოხელე).

სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულებია:

ა) ქონების მართვისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება;

ბ) შესყიდვების განყოფილება;

გ) ტურიზმის განვითარების, საგარეო ურთიერთობების და საერთაშორისო პროექტების განყოფილება.

პროექტის მიხედვით:

დებულება შედგება 6 მუხლისგან, სადაც დეტალურადაა გაწერილი ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის სტრუქტურა, ამოცანები, ფუნქციები და ვალდებულებები.

**სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.**

**23 - მომხრე**

**4 - მონაწილეობა არ მიიღო**

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №4 ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;**

**მოისმინეს:** ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

**/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/**

**მომხსენებელმა განმარტა განკარგულების პროექტი:** ნორმატიული აქტის პროექტის მიღების საჭიროება გამოიწვია 2017 წლის 12 ნოემბერს საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ ამოქმედებულმა ცვლილებებმა, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნამ და ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიაში დაწყებულმა რეორგანიზაციის პროცესმა.

ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზანს წარმოადგენს საკრებულოს დადგენილების საქართველოს ორგანულ კანონთან „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსთან“ და საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობა.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ შევიდა ტერმინოლოგიური ცვლილება, კერძოდ, ტერმინი „გამგეობა“ შეიცვალა „მერიით“. სწორედ აღნიშნული ცვლილების საფუძველზე სამსახურის სახელწოდება ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური“.

ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიაში დაწყებულმა რეორგანიზაციამ კი განაპირობა ამ კონკრეტული სამსახურის სტრუქტურული ცვლილება:

სამსახური შედგება პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - სამსახურის უფროსის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - განყოფილების, მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსის - განყოფილების უფროსის და სხვა პროფესიული საჯარო მოხელეებისგან (შემდგომ- საჯარო მოხელე).

სამსახურის მეორად სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბდა:

- ა) ინფრასტრუქტურის განყოფილება;
- ბ) სივრცითი მოწყობის, მშენებლობისა და არქიტექტურის განყოფილება;
- გ) ძეგლთა დაცვის განყოფილება.

ნორმატიული აქტის პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გაღებას ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

**სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.**

**22 - მომხრე**

**5 - მონაწილეობა არ მიიღო**

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №5 ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

**მოისმინეს:** ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

**/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/**

**მომხსენებელმა განმარტა:** ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზანს წარმოადგენს საკრებულოს დადგენილების საქართველოს ორგანულ კანონთან „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსთან“ და საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობა.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ შევიდა ტერმინოლოგიური ცვლილება, კერძოდ, ტერმინი „გამგეობა“ შეიცვალა „მერიით“. სწორედ აღნიშნული ცვლილების საფუძველზე სამსახურის სახელწოდება ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახური.

ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიაში დაწყებულმა რეორგანიზაციამ კი განაპირობა ამ კონკრეტული სამსახურის სტრუქტურული ცვლილება:

სამსახური შედგება პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - სამსახურის უფროსის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - განყოფილების, მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსის - განყოფილების უფროსის და სხვა პროფესიული საჯარო მოხელეებისგან (შემდგომ- საჯარო მოხელე).

სამსახურის მეორად სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბდა - ზედამხედველობისა და ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირების განყოფილება.

**სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.**

**22 - მომხრე**

**5 - მონაწილეობა არ მიიღო**

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება № 6 ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

**მოისმინეს:** ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

*/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/*

**მომხსენებელმა განმარტა:** ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზანს წარმოადგენს საკრებულოს დადგენილების საქართველოს ორგანულ კანონთან „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსთან“ და მერიის დებულებასთან შესაბამისობაში მოყვანა.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ შევიდა ტერმინოლოგიური ცვლილება, კერძოდ, ტერმინი „გამგეობა“ შეიცვალა „მერიით“. სწორედ აღნიშნული ცვლილების საფუძველზე სამსახურის სახელწოდება ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური“.

**სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.**

**21 - მომხრე**

**6 - მონაწილეობა არ მიიღო**

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №7** ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

**მოისმინეს:** ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის მერის წარმომადგენელთა საქმიანობის კოორდინაციის სამსახური;

*/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/*

**მომხსენებელმა განმარტა:** ნორმატიული აქტის პროექტის მიღების საჭიროება გამოიწვია ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიაში განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად



მერიის სტრუქტურაში კიდევ ერთი სამსახურის - „მერიის წარმომადგენელთა საქმიანობის კოორდინაციის სამსახური“ -ის შექმნამ.

პროექტის მიზანია ადმინისტრაციული ერთეულების მუშაობის ეფექტიანობის გაზრდა.

დებულება შედგება 3 მუხლისაგან, სადაც დეტალურადაა გაწერილი ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის „მერიის წარმომადგენელთა საქმიანობის კოორდინაციის სამსახურის“ სტრუქტურა და ფუნქციები.

შაქრო ტერტერაშვილმა მერიის სამსახურებთან დაკავშირებით აღნიშნა: მიმაჩნია რომ ფუნქციები საჯარო მოხელეებზე არასწორად არის განაწილებული. მოხელეების გარკვეულ ნაწილს აქვს მინიჭებული მაღალი სტატუსი და შესაბამისად მაღალი ანაზღაურება და არ აქვთ დატვირთვა, არიან საჯარო მოხელეები, რომლებსაც დაბალი ანაზღაურება აქვთ და სამუშაო მოვალეობები აქვთ მეტი.

**სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.**

**21 - მომხრე**

**4 - წინააღმდეგი**

**2 - მონაწილეობა არ მიიღო**

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №8 ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის მერიის წარმომადგენელთა საქმიანობის კოორდინაციის სამსახური;

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

*/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/*

**მომხსენებელმა წევრებს გააცნო პროექტი:** ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზანს წარმოადგენს საკრებულოს დადგენილების საქართველოს ორგანულ კანონთან „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსთან“ შესაბამისობა.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ შევიდა ტერმინოლოგიური ცვლილება, კერძოდ, ტერმინი „გამგეობა“ შეიცვალა „მერიით“. სწორედ აღნიშნული ცვლილების

საფუძველზე სამსახურის სახელწოდება ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური”.

საკითხის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

21 - მომხრე

6 - მონაწილეობა არ მიიღო

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №9 ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

მოისმინეს: „ ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

*/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/*

მომხსენებელმა წევრებს გააცნო პროექტი: ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზანს წარმოადგენს საკრებულოს დადგენილების საქართველოს ორგანულ კანონთან „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსთან” და საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონთან შესაბამისობა.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში” შევიდა ტერმინოლოგიური ცვლილება, კერძოდ, ტერმინი „გამგეობა” შეიცვალა „მერიით”. სწორედ აღნიშნული ცვლილების საფუძველზე სამსახურის სახელწოდება ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური”.

ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიაში დაწყებულმა რეორგანიზაციამ კი განაპირობა ამ კონკრეტული სამსახურის სტრუქტურული ცვლილება:

სამსახური შედგება პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - სამსახურის უფროსის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - განყოფილებების, მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსების - განყოფილებების უფროსების და სხვა პროფესიული საჯარო მოხელეებისგან (შემდგომ- საჯარო მოხელე).

სამსახურის მეორად სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბდა:

- ა) საბიუჯეტო დაგეგმვის განყოფილება,
- ბ) სახაზინო და ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილება.

საკითხის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

21 - მომხრე

6 - მონაწილეობა არ მიიღო

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №10 „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“;

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“;

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

მომხსენებელმა განმარტა: „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ შევიდა ტერმინოლოგიური ცვლილება, კერძოდ, ტერმინი „გამგეობა“ შეიცვალა „მერიით“. სწორედ აღნიშნული ცვლილების საფუძველზე სამსახურის სახელწოდება ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახური“.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

21 - მომხრე

6 - მონაწილეობა არ მიიღო

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №11 „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“;

**მოისმინეს:** „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;

*/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/*

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ შევიდა ტერმინოლოგიური ცვლილება, კერძოდ, ტერმინი „გამგეობა“ შეიცვალა „მერიით“. სწორედ აღნიშნული ცვლილების საფუძველზე სამსახურის სახელწოდება ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.

**სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.**

**21 - მომხრე**

**6 - მონაწილეობა არ მიიღო**

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №12 „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;**

**მოისმინეს:** „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

*/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/*

**მომხსენებელმა განმარტა:** ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზანს წარმოადგენს საკრებულოს დადგენილების საქართველოს კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაში მოყვანა.

**განმარტებითი ბარათი თან ერთვის ოქმს**

**სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.**

21 - მომხრე

6 - მონაწილეობა არ მიიღო

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №13 „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა, დამსწრე საკრებულოს წევრებს: ხომ არ სურთ რაიმე წინადადების დაყენება.

სხდომაზე დამსწრე საკრებულოს წევრებს წინადადების დაყენების სურვილი არ გამოუთქვამთ.

საკრებულოს სხდომა დაიხურა 11<sup>00</sup> საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარე:



თამარ ყვინიშვილი

